ახალი საინფორმაციო პორტალის პრეზენტაცია

დღის წესრიგი

18 თებერვალი, 2021 წ

11:50 - 12:00	**მონაწილეების რეგისტრაცია ონლაინ (Zoom პლატფორმა)** **ქეთევან ნატრიაშვილი- ფასილიტატორი** მსოფლიო ბანკის ადგილობრივი წამყვანი კონსულტანტი
12:00-12:20	**მისალმება:** **ქ-ნ თამარ ქიტიაშვილი** მინისტრის მოადგილე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო **ქ-ნ ელენ ვიხმანი** კარგი მმართველობის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი, ბრიტანეთის საელჩო **ბ-ნ სებასტიან მოლინეუსი** მსოფლიო ბანკის, სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი
12:20-12:30	**პრეზენტაცია ახალი ვებგვერდის www.vet.ge შესახებ** **ნინო ქუთათელაძე** მსოფლიო ბანკის მთავარი სპეციალისტი განათლების მიმართულებით
12:30-12:45	**ვებგვერდის ვიდეო პრეზენტაცია** **ლაშა ვერულავა** მსოფლიო ბანკის პროგრამული განვითარების კოორდინატორი
12:45- 13:00	**კითხვები და პასუხები** **ბ-ნ ოლივერ დიზი - ფასილიტატორი** პროფესიული განათლების საერთაშორისო ექსპერტი

ღონისძიების შესახებ:

ახალი ელექტრონული პორტალი www.vet.ge შექმნილია „ერთი ფანჯრის" პრინციპის გათვალისწინებით, სადაც თავს იყრის პროფესიული განათლების შესახებ არსებული, ყველა საჯარო მონაცემი და სტატისტიკა, ასევე ინფორმაცია ახალი ინიციატივების, სამთავრობო პოლიტიკისა და პრიორიტეტების შესახებ. ვებ გვერდი შექმნილია მსოფლიო ბანკის პროექტის - „მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება პროფესიულ განათლებაში" ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის მიერ, ბრიტანეთის საელჩოს კარგი მმართველობის ფონდის მეშვეობით. მისი მიზანია, პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებით, ასევე მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებებისთვის ეფექტური მექანიზმების შექმნით, პროფესიული განათლების სტუდენტებს შორის, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი უნარების განვითარების ხელშეწყობა.

ახალი ვებგვერდი, მისი მარტივი და მიმზიდველი დიზაინით, უზრუნველყოფს საჭირო ინფორმაციაზე, მონაცემებსა თუ საგანმანათლებლო რესურსებზე, მარტივ წვდომას და ხელს უწყობს ყველა დაინტერესებული მხარის, განსაკუთრებით კი, სტუდენტების საჭიროებების დაკმაყოფილებას იმისათვის, რომ მათ გააკეთონ სწორი კარიერული არჩევანი. ამასთან, ვებგვერდი, სახელმწიფო თუ კერძო სექტორს დაეხმარება გადაწყვეტილებების მიღებისას იხელმძღვანელონ სანდო და სრულყოფილი მონაცემებით. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შეთავაზებული საგანმანათლებლო სერვისები, ხელმისაწვდომი იქნება ერთ სივრცეში ყველა სამიზნე ჯგუფისთვის, რაც საბოლოოდ დადებითად აისახება პროფესიული განათლების იმიჯზე.

მსოფლიო ბანკის პროექტი „მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება პროფესიულ განათლებაში", განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით ხორციელდება და მხარს უჭერს მთავრობის მდგრადი განვითარების დღის წესრიგის იმპლემენტაციაში, რომელიც თავის მხრივ, ხაზს უსვამს ადამიანური კაპიტალის განვითარების მნიშვნელობას, ეკონომიკის განვითარებისა და შემოსავლების ზრდისათვის.